



საერთაშორისო  
გამჭვირვალობა  
საქართველო



**პარლამენტის წევრების კავშირები  
ბიზნესთან, შუუთავსებადრი სექტორთან  
და არადეკლარირებული კომპანიები**

თბილისი, 2021

ანგარიში მომზადდა ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა  
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.



Norwegian Ministry  
of Foreign Affairs

# საჩივრი

<b>შესავალი</b>	4
<b>მეთოდოლოგია</b>	4
<b>1. ძირითადი მიზნები</b>	5
<b>2. დეპუტატთა კავშირი ბიზნესთან, არადეკლარირებული კომპანიები და შეუთავსებელი სამენარმეო საქმიანობა</b>	6
2.1 პარლამენტის წევრების ბიზნეს-ინტერესების მომწესრიგებელი კანონმდებლობა	6
2.2 პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის და საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შესწავლილი შემთხვევები	8
2.3. პარლამენტის წევრთა მიერ სამენარმეო სუბიექტებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება	10
2.4. პარლამენტის წევრთა არადეკლარირებული წილები და სავარაუდო სამენარმეო საქმიანობა	11

## შესავალი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ წარმოგიდგენთ კვლევას საქართველოს მეათე მოწვევის<sup>1</sup> პარლამენტის წევრთა სამეწარმეო საქმიანობისა და ბიზნესთან კავშირების შესახებ.<sup>2</sup>

## მეთოდოლოგია

ანგარიში ეყრდნობა პარლამენტის წევრთა მიერ შევსებული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე არსებულ ინფორმაციას, ასევე საქართველოს პარლამენტიდან და საჯარო სამსახურის ბიუროდან გამოთხოვილ ინფორმაციებს.

პარლამენტის წევრთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებსა და კომპანიებში მათი კუთვნილი წილების შესახებ ინფორმაცია კვლევაში მოცემულია 2021 წლის 16 სექტემბრის მდგომარეობით.

---

1 უფლებამოსილების ცნობა მოხდა 2020 წლის 11 დეკემბერს.

2 2021 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი.

# 1. ქიითაი მიზნაბაი

- პარლამენტის 150 წევრიდან, ბიზნესთან კავშირი აქვს **62** დეპუტატს;<sup>3</sup>
- აქედან, **20**-მა დეპუტატმა არასრულად დაადეკლარირა მისი პირდაპირი სამეწარმეო საქმიანობა (კომპანიის წილი ან წარმომადგენლობა);
- **13**-მა დეპუტატმა არასრულად დაადეკლარირა მისი არაპირდაპირი სამეწარმეო საქმიანობა (დაკავშირებული/შვილობილი საწარმოები);
- **25** შემთხვევაში წილები არ იყო გადაცემული მართვის უფლებით სხვა პირისთვის;
- **12** შემთხვევაში დეპუტატები პარლამენტში საქმიანობის პარალელურად განაგრძობდნენ სამეწარმეო სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას.

ყველაზე მეტ კომპანიაში ბიზნეს აქტივებს (10 და მეტი კომპანიაში) შემდეგი დეპუტატები ფლობენ:

1. **ბადრი ჯაფარიძე** (ფრაქცია „ლელო“- პარტნიორობა საქართველოსთვის“) - 32 კომპანია;
2. **მამუკა ხაზარაძე** (ფრაქცია „ლელო“- პარტნიორობა საქართველოსთვის“) - 30 კომპანია;
3. **ვასილ ჩიგოგიძე** (ფრაქცია „ქართული ოცნება“) - 22 კომპანია;
4. **ავთანდილ ენუქიძე** (პოლიტიკური ჯგუფი „ევროპელი სოციალისტები“) - 20 კომპანია;
5. **ფრიდონ ინჯია** (პოლიტიკური ჯგუფი „ევროპელი სოციალისტები“) - 20 კომპანია;
6. **კახაბერ ოქრიაშვილი** (ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“) - 12 კომპანია.<sup>4</sup>
7. **დიდარ ხაბულიანი** (ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“) - 10 კომპანია;

სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლად უმეტეს შემთხვევაში დეკლარაციებში მითითებულია 0 ლარი. შემოსავალს სამეწარმეო საქმიანობიდან 62-დან მხოლოდ 22 დეპუტატი უთითებს, აქედან შევსებული დეკლარაციების მიხედვით, ერთი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი შემოსავალი სამეწარმეო საქმიანობიდან აფიქსირებენ:

- **კახაბერ ოქრიაშვილი** (ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“) - 11 268 533.54 ლარი;
- **ფრიდონ ინჯია** (პოლიტიკური ჯგუფი „ევროპელი სოციალისტები“) - 1 528 556 ლარი;

3 ამ მონაცემში არ შედის ის შემთხვევები, როდესაც კომპანიაში წილის საკუთრების შეძენა დეკლარაციის შემდეგ განხორციელდა.

4 დეკლარაციაში მითითებულია კიდევ ერთი კომპანია, რომელიც დეკლარაციის შევსების შემდეგ ლიკვიდირებულია.

- ანტონ ობოლაშვილი (ფრაქცია „ქართული ოცნება“) - 1 418 917.5 ლარი;
- ელგუჯა გოცირიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება“) - 1 263 590.42 ლარი.

## 2. დეკლარაცია კავშირი ბიზნესთან, ანაღვადანიჩიხუი კომპანიიხი დე შუთავსეხილი სამენარმეო საქმიანობა

საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ დეკლარაციების არასწორად შევსება და მათი მონაწილეობა სამენარმეო საქმიანობაში არაერთი წელია პრობლემას წარმოადგენს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ ოფიციალური წყაროების (თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდი) დამუშავების შედეგად მოაგროვა ინფორმაცია პარლამენტის წევრთა მიერ არადეკლარირებული წილების, ინტერესთა შეუთავსებლობისა და სავარაუდო სამენარმეო საქმიანობის განხორციელების შესახებ. არადეკლარირებული კომპანიები რეალურად ეწევიან თუ არა სამენარმეო საქმიანობას, ამის დადგენის შესაძლებლობა ჩვენ არ გაგვაჩნია და ამ საკითხით საჯარო სამსახურის ბიურო უნდა დაინტერესდეს; ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხი კი პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა უნდა შეისწავლოს.

### 2.1 პარლამენტის წევრების ბიზნეს-ინტერესების მომწესრიგებელი კანონმდებლობა

პარლამენტის წევრს უფლება აქვს ფლობდეს აქციებს, წილს და სხვა ქონებას, თუმცა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელ საქმიანობას წარმოადგენს სამენარმეო საქმიანობა.

#### პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს:

- უშუალოდ განახორციელოს არაერთგვრადი საქმიანობა მოგების მიზნით მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური საშუალებების სამართავად;
- უშუალოდ განახორციელოს სამენარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელის, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ან/და საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილება.<sup>5</sup>

თუ პარლამენტის წევრი სამენარმეო საქმიანობას ეწევა, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი ამ ფაქტის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში გამოითხოვს სათანადო წერილობით მასალას, იღებს მისგან ახსნა-განმარტებას და ამზადებს შესაბამის დასკვნას.

5 პარლამენტის რეგლამენტი, მე-7 მუხლი, <https://www.matsne.gov.ge/document/view/4401423?publication=18>

თუ დადასტურდა პარლამენტის წევრის მიერ სამენარმეო საქმიანობის განხორციელება, დასკვნა გადაეცემა პარლამენტის ბიუროს, რომელსაც უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეაქვს საკითხი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.<sup>6</sup>

პარლამენტის წევრი ვალდებულია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით შეავსოს და სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია უნდა მოიცავდეს მათ შორის შემდეგ მონაცემებს:

- პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება;
- პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება (ფასიანი ქაღალდების, საბანკო ანგარიშის ან/და შენატანის, ნაღდი ფულადი თანხის გარდა), რომელთაგან თითოეულის ღირებულება 10 000 ლარს აღემატება;
- პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები; საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული ანგარიში ან/და შენატანი, რომლის განკარგვის უფლებაც აქვს პირს ან მისი ოჯახის წევრს;
- პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხა, რომლის ოდენობა 4 000 ლარს აღემატება;
- საქართველოში ან სხვა ქვეყანაში სამენარმეო საქმიანობაში პირის, მისი ოჯახის წევრის პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეობა.

აღნიშნული ინფორმაციის მიუთითებლობა ინვესტს გამოიწვევს დაჯარიმებას. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში სრული და სწორი მონაცემების შეტანის და დეკლარაციის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგს ახორციელებს საჯარო სამსახურის ბიურო.

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების<sup>7</sup> შესაბამისად, განისაზღვრა შემთხვევები, რომელთა არსებობაც დეკლარაციის შევსებისას **არაარსებით დარღვევად** მიიჩნევა, კერძოდ ასეთია:

- ▶ საქართველოში ან სხვა ქვეყანაში სანარმოს საქმიანობაში პირის, მისი ოჯახის წევრის პირდაპირი მონაწილეობის და არაპირდაპირი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციაში ***მითითებული არ არის სანარმო, რომლის საქმიანობაშიც თანამდებობის პირი,***

6 პარლამენტის რეგლამენტი, მე-6 მუხლის მეხუთე პუნქტი, <https://www.matsne.gov.ge/document/view/4401423?publication=18>

7 ამ ცვლილებების შეფასება დეტალურად იხ. „მეცხრე მონვევის პარლამენტის საქმიანობის შეფასება“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, გვ. 20, [https://transparency.ge/sites/default/files/sakartvelos\\_parlamentis\\_ix\\_mocvevis\\_otxcliani\\_angarishi\\_2.pdf](https://transparency.ge/sites/default/files/sakartvelos_parlamentis_ix_mocvevis_otxcliani_angarishi_2.pdf)

**მისი ოჯახის წევრი პირდაპირ ან/და არაპირდაპირ მონაწილეობს და რომელსაც დეკლარაციის შევსების თარიღამდე 3 წლის ან 3 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბრუნვა არ ჰქონია და ტრანზაქცია არ განუხორციელებია ან ფიქსირდება ბრუნვა წლის განმავლობაში არაუმეტეს 2 000 ლარისა;**

**დარღვევის არარსებობის შესახებ** ბიურო იღებს გადაწყვეტილებას, თუკი:

- საქართველოში ან სხვა ქვეყანაში სანარმო საქმიანობაში პირის, მისი ოჯახის წევრის პირდაპირი მონაწილეობის და არაპირდაპირი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციაში მითითებული არ არის სანარმო, რომლის საქმიანობაშიც თანამდებობის პირი, მისი ოჯახის წევრი პირდაპირ ან/და არაპირდაპირ მონაწილეობს და რომელსაც **დეკლარაციის შევსების თარიღამდე 6 წლის ან 6 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბრუნვა არ ჰქონია და ტრანზაქცია არ განუხორციელებია ან ფიქსირდება ბრუნვა წლის განმავლობაში არაუმეტეს 500 ლარისა.**

## **2.2 პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის და საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შესწავლილი შემთხვევები**

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის<sup>8</sup> თანახმად:

- მე-10 მოწვევის პარლამენტის **17** წევრის მიერ **97** შემთხვევაში განხორციელდა სამენარმეო საქმიანობის სუბიექტებში მათი კუთვნილი წილების მართვის უფლებით გადაცემა, მათ შორის, 7 შემთხვევაში პარლამენტის წევრებმა დატოვეს სამენარმეო საქმიანობის სუბიექტის დირექტორის, ხოლო 2 შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობა.<sup>9</sup>
- ერთ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ გაუქმდა ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაცია.
- პარლამენტის წევრისათვის შეუთავსებელი თანამდებობა დატოვა მე-10 მოწვევის პარლამენტის **8** წევრმა.

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში არ ჩანს, თუ რამდენი შემთხვევა გამოავლინა კომიტეტმა, როდესაც წილების მართვის უფლებით გადაცემა არ განხორციელებულა ან დეპუტატი კვლავ მონაწილეობს კომპანიის მართვაში და რა იყო ასეთ შემთხვევაში კომიტეტის რეაგირება.

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დეპუტატს ყველა სამართლებრივი მოთხოვნა ფორმალურად შესრულებული აქვს, თუმცა პარლამენტის ტრიბუნლიდან აკეთებს განცხადებას, რომელიც ააშკარავებს მის კავშირებს ბიზნესთან და კონკრეტული ბიზნესის მართვასთან. მაგალითად, შეიძლება გავიხსენოთ დავით ბილფიმიანის გამოსვლა 2021

8 პასუხის თარიღი: 2021 წლის 30 ივნისი.

9 ამასთანავე, ზემოაღნიშნული შემთხვევებიდან პარლამენტის 8 წევრის მიერ 28 შემთხვევაში მოხდა სამენარმეო საქმიანობის სუბიექტებში მათი კუთვნილი წილების მართვის უფლებით გადაცემა, ხოლო 3 შემთხვევაში იმავდროულად სამენარმეო საქმიანობის სუბიექტის დირექტორის თანამდებობის დატოვება განხორციელდა მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობამდე.



წლის 22 თებერვალს, საქართველოს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების სხდომაზე<sup>10</sup>, როდესაც მან ღიად ისაუბრა საკუთარ სახელზე რეგისტრირებული ბიზნესის მართვაზე და გარკვეულწილად, ლობირების მცდელობაც ჰქონდა, როდესაც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს კონკრეტული პრობლემის მოგვარების თხოვნით მიმართა. აღსანიშნავია, რომ კომიტეტს, დეპუტატ ბილფიმიანის ზემოთ-მოყვანილ გამოსვლაზე რეაგირება არ ჰქონია.

მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევებზე კომიტეტი ეფექტურად უნდა რეაგირებდეს და რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას იყენებდეს. პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, კომიტეტი დეპუტატის სამეწარმეო საქმიანობის ფაქტის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში გამოითხოვს სათანადო წერილობით მასალას, იღებს მისგან ახსნა-განმარტებას და ამზადებს შესაბამის დასკვნას ბიუროსთვის.

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის<sup>11</sup> შესაბამისად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობის გამო, დაჯარიმდნენ მე-10 მონვევის პარლამენტის შემდეგი წევრები:

1. თამარ ჩარკვიანი
2. შალვა ნათელაშვილი
3. თეიმურაზ ჯანაშია
4. ვახტანგ მეგრელიშვილი
5. ზურაბ გირჩი ჯაფარიძე

ამ შემთხვევებთან დაკავშირებით დამატებით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- თამარ ჩარკვიანმა დაჯარიმების შესახებ ბიუროს უფროსის განკარგულება გაასაჩივრა სასამართლოში, თუმცა, მის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო, სარჩელი დარჩა განუხილველი. თამარ ჩარკვიანს გაეგზავნა დეკლარაციის შესავსებად საჭირო რეკვიზიტები. მოგვიანებით, 30 ივნისს თამარ ჩარკვიანმა შეავსო დეკლარაცია.
- ვახტანგ მეგრელიშვილმა<sup>12</sup> დაკისრებული ჯარიმა არ გადაიხადა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში და ჯარიმის იძულებითი აღსრულების მიზნით შესაბამისი მოთხოვნა წარედგინა სსიპ - აღსრულების ეროვნულ ბიუროს, ხოლო ჯარიმის დაკისრების შემდეგ დეკლარაციის კვლავ წარუდგენლობის შესახებ ეცნობა შესაბამის სამართალდამცავ უწყებას.
- თეიმურაზ ჯანაშიამ და შალვა ნათელაშვილმა დაჯარიმების შესახებ ბიუროს უფროსის განკარგულებები სასამართლო წესით გაასაჩივრეს. გასაჩივრების გამო ჯარიმის გადახდის ვადა შეჩერდა. საქმის განხილვა დღემდე მიმდინარეობს.

10 დავით ბილფიმიანის სიტყვით გამოსვლის აუდიო ჩანაწერი იხ.

<https://info.parliament.ge/#law-drafting/21626>

11 პასუხის თარიღი: 2021 წლის 29 ივნისი.

12 (ბიზნესის რეესტრის მონაცემების მიხედვით, ვახტანგ მეგრელიშვილი თავად არ არის ჩართული სამეწარმეო საქმიანობაში. მისი მეუღლე მაია ჩარჩხალია არის დირექტორი და 100%-ის მფლობელი).

- ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს ოთხჯერ გაეგზავნა მისი დაჯარიმების შესახებ განკარგულება, თუმცა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ჩაბარება ვერ განხორციელდა.

## 2.3. პარლამენტის წევრთა მიერ სამეწარმეო სუბიექტებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება

### • წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება

**გიორგი გოდაბრელიძე** - შპს „[სქაივეი](#)“ -ს დირექტორია. ეს ინფორმაცია არ არის დეკლარირებული

**აბდულა ისმაილოვი** - [ინდივიდუალური მენარმეა](#), თუმცა არ აქვს დეკლარირებული.

**მანუჩარ კვიციანი** - შპს „[ევროპა ინტერთეიმენტ](#)“-ის დირექტორია<sup>13</sup>; ეს ინფორმაცია არ არის დეკლარირებული.

**ნონა მამულაშვილი** - შპს „[Caucasus Consulting International-ის](#)“ დირექტორია, თუმცა დეკლარაციაში არ აქვს მითითებული. .

**მამუკა მდინარაძე** - სპს „[მამუკა მდინარაძე და თბილისის იურიდიული ცენტრის](#)“ დამფუძნებელი და დირექტორია.<sup>14</sup> დირექტორის სტატუსი არ არის დეკლარირებული.

**როსტომ ჩხეიძე** - [ინდივიდუალური მენარმეა](#), ეს ინფორმაცია არ არის დეკლარირებული.

**დევი ჭანკოტაძე** - შპს „[გორი 222](#)“ დირექტორია.<sup>15</sup>

**ლევან ხაბეიშვილი**-[ინდივიდუალური მენარმეა](#).<sup>16</sup> ეს ინფორმაცია არ არის დეკლარირებული.

**იაგო ხვიჩია** - შპს „[მანა ლეგალ კონსალტინგის](#)“ და შპს „[თბილისი ლიგალ კონსალტინგის](#)“ დირექტორი; ეს ინფორმაცია არ არის დეკლარირებული.

**დიმიტრი ხუნდაძე** - “[ხუნდაძის შპს ფირმა დიონისეს](#)“ ვიცე-პრეზიდენტი (დეკლარაციაში მითითებულია, რომ ამ კომპანიის საქმიანობა შეჩერებულია); ეს პოზიცია არ არის დეკლარირებული.

**თამარ ჩარკვიანი** - არის [შპს „ქართული სიტყვა, ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკის“](#) დირექტორი; ასევე, [შპს მორკინალი 1](#)- დირექტორი<sup>17</sup>, ეს ინფორმაცია არ არის დეკლარირებული.

**ხათუნა კვიციანი** - არის [შპს მუხბეს](#) დირექტორი. [დეკლარაციაში](#) დირექტორის პოზიციაზე ყოფნის პერიოდად უთითებს 15.02.2017-01.02.2018, თუმცა საჯარო რეესტრის ვებგვერდზე არსებული ბოლო ამონაწერის მიხედვით კვლავ იკავებს აღნიშნულ პოზიციას.

13 ბოლო განახლება 2011 წელი.

14 ბოლო ამონაწერის/განახლების თარიღი 2014 წელი.

15 ბოლო განახლება 2016 წელი.

16 დაფუძნებულია/ბოლო განახლება 2006 წელს.

17 ბოლო განახლება 2014 წელი

## 2.4. პანდემიის წიგნით ანაღვარებული წილები და სავაჩაურო სამეწარმეო საქმიანობა

### • არადეკლარირებული წილების საკუთრება, წილების მართვის შემთხვევები

**თონა აქუბარდია** - ფლობს შპს „[IBD Consulting](#)“-ის 25% წილს, რომელიც აქვს მითითებული დეკლარაციაში, მაგრამ არ აქვს მართვის უფლებით გადაცემული.

**გიორგი გოდებელიძე** - შპს „[სქაი ლოჯისტიქს](#)“, შპს „[გონი](#)“, შპს „[ლუგანო](#)“, შპს „[ჯორჯია 360](#)“, შპს „[სქაივეი](#)“, შპს „[ბუგო](#)“-ს წილები დეკლარირებულია, მაგრამ არ აქვს მართვის უფლებით გადაცემული;

**ლევან ვარშალომიძე** - შპს „[LV&PARTNERS](#)“-ში წილი დეკლარირებულია, მაგრამ არ აქვს მართვის უფლებით გადაცემული.

**დავით კაჭარავა** - არ აქვს დეკლარირებული შპს „[კგკ ფუდის](#)“ 33% წილი და მართვის უფლებით არ აქვს გადაცემული;

**ლევან კობიაშვილი** - შპს „[კ - 3](#)“-ის 100%-იანი და შპს „[ალი ჯორჯიან მოტორსის](#)“ 25%-იანი წილი აქვს დეკლარირებული, მაგრამ არ აქვს მართვის უფლებით გადაცემული;

**მანუჩარ კვიციანი** - შპს „[ევროპა ინტერტიმენტ](#)“; შპს „[ბოკი](#)“; შპს „[ნ13](#)“; შპს „[ბონდი დეველოპმენტი](#)“, შპს „[ნიუ ალიანსი](#)“ წილები აქვს დეკლარირებული, მაგრამ მართვის უფლებით არ აქვს გადაცემული;

**ვახტანგ კიკაბიძე** - შპს „[კუს ტბა კალა](#)“, შპს „[კუს ტბა-2](#)“, შპს „[კუს ტბა პალასი](#)“ აქვს დეკლარირებული, მაგრამ მართვის უფლებით არ აქვს გადაცემული;

**ნონა მამულაშვილი** - შპს „[Caucasus Consulting International](#)“-ის 100 % წილი არ აქვს დეკლარირებული და ასევე არაა წილი მართვის უფლებით გადაცემული.

**სამველ მანუკიან** - შპს „[გრანდი](#)“ - 50%, შპს „[კრისტალლი](#)“ - 50% და შპს „[გეოფუდი](#)“ - 50% წილები აქვს დეკლარირებული, მაგრამ არ აქვს მართვის უფლებით გადაცემული;

**ნიკა მაჭუტაძე** - შპს „[სილქ თრეველ ჯორჯიას](#)“ წილი აქვს დეკლარირებული, მაგრამ მართვის უფლებით არ აქვს გადაცემული;

**ლევან მგალობლიშვილი** - დეკლარაციაში არ აქვს მითითებული შპს „[ლევანტა](#).“

**ირაკლი მებურნიშვილი** - შპს „[ფილორგას](#)“ 35% და შპს [ნიუ ვიდელს](#) 25% წილები აქვს დეკლარირებული, მაგრამ არ აქვს მართვის უფლებით გადაცემული.

**ცემარ ჩოჩელი** - 2021 წლის დეკლარაციაში დეკლარირებული არ აქვს შპს „[ინტერპლასტი](#)“, შპს „[ჯგ გრუპ](#)“ და შპს „[ქართული წყლის კომპანია](#)“, ასევე წილები მართვის უფლებით არ აქვს გადაცემული; შპს [მიქსორში](#) წილი დეკლარირებულია, მაგრამ მართვის უფლებით არ აქვს გადაცემული;

**ტარიელ ნაკაიძე** - კომპანიები „[შპს TRANSLATION CENTER](#)“ და „[შპს თარჯიმანი](#)“<sup>18</sup>, არ აქვს დეკლარირებული და წილები მართვის უფლებით არ აქვს გადაცემული;

18 ბოლო განახლება 2005 წელი.

**კობა ნაყოფია** - შპს „[გოლდინვესტის](#)“ წილი აქვს დეკლარირებული, მაგრამ მართვის უფლებით არ აქვს გადაცემული;

**დავით სონდულაშვილი** - შპს „[ედრესის](#)“, შპს „[გამსახურდიას 5-ს](#)“, შპს „[პროგრესის](#)“, შპს „[ბელეზას](#)“, შპს „[თიეირ ჯორჯიას](#)“, შპს „[ინტერგაზის](#)“, შპს „[დრავი ქლინინგ ჯორჯიას](#)“ და შპს „[რთველი-2002-ს](#)“ წილები აქვს დეკლარირებული, მაგრამ მართვის უფლებით არ აქვს გადაცემული.

**ნინო წილოსანი** - შპს „[ენ-დუო](#)“ არ არის [დეკლარაციაში](#) მითითებული, თუმცა წილი გადაცემული აქვს მართვის უფლებით.

**ირაკლი ხახუბია** - შპს „[Gcm Service](#)“, და შპს „[აისბერგ ტრეიდინგ.](#)“ წილები აქვს დეკლარირებული, მაგრამ მართვის უფლებით არ აქვს გადაცემული.

**დევი ჭანკოტაძე** - შპს „[გორი 222](#)“, შპს „[ნინოშვილი](#)“, შპს „[SHARK](#)“-ის წილები აქვს დეკლარირებული, მაგრამ მართვის უფლებით არ აქვს გადაცემული.

**დილარ ხაბულიანი** - 10 კომპანიაში ფლობს წილებს, რომლებიც მართვის უფლებით არ აქვს გადაცემული. დამატებით, 7 კომპანიაში მისი წილები არ აქვს მითითებული 2021 წლის [დეკლარაციაში](#). ესენია - შპს „[ძველი უბანი](#)“, შპს „[ევროიმპო](#)“, შპს „[რამა თეჯარათ ჯორჯია](#)“, შპს „[მართვე 2011](#)“, შპს „[არბოლი](#)“, შპს „[გეობითუმ](#)“, და შპს „[გორგა+](#)“.

**დავით ხაჭიშვილი** - 5 კომპანიაში წილები აქვს დეკლარირებული, მაგრამ მართვის უფლებით არ გადაუცია სხვა პირისთვის. ეს კომპანიებია: შპს „[G & U GROUP](#)“, შპს „[IBERIA TRAVEL](#)“, შპს „[FOR TRAVEL](#)“, შპს „[იამაიკა ყავა Jamaica coffee](#)“ და შპს „[სთანხერბიუთი](#)“.

**იაგო ხვიჩია** - არის შპს „[მანა ლეგალ კონსალტინგის](#)“ 20%-ის მფლობელი. ასევე ის ფლობს შპს „[თბილისი ლიგალ კონსალტინგის](#)“ 50%-ს. დეპუტატს კომპანიები არ აქვს დეკლარირებული 2021 წლის [დეკლარაციაში](#) და წილები მართვის უფლებით არ გადაუცია;

**ხათუნა კვიციანი** - 100% წილი [შპს ედუკოში](#) დეკლარირებული აქვს, მაგრამ მართვის უფლებით არ აქვს გადაცემული.

**შოთა ხაბარელი** - დეკლარირებული აქვს [შპს ჯუნაში](#) 50 %იანი წილი, თუმცა არ აქვს მართვის უფლებით გადაცემული.<sup>19</sup>

**ზაალ დუგლაძე** - [შპს GIC](#)-ში 50%-იანი წილის საკუთრება არ აქვს [დეკლარირებული](#).<sup>20</sup>

**ფრიდონ ინჯია** - [შპს სისტემა გაზ](#)-ში 100%-იანი წილის საკუთრება არ აქვს [დეკლარირებული](#).

**დიმიტრი ხუნდაძე** - შპს „[ხუნდაძის შპს ფირმა დიონისეში](#)“ 40%-იანი წილი მართვის უფლებით არ აქვს გადაცემული.

**თამარ ჩარკვიანი** - შპს „[ქართული სიტყვა, ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკაში](#)“ 100%-იანი წილი მართვის უფლებით არ აქვს გადაცემული.

19 ბოლო ამონაწერი 2013 წელი.

20 ამ კომპანიაში წინა პერიოდში დირექტორის პოზიციაზე ყოფნა არის დეკლარირებული.

**მამუკა მდინარაძე** - [სპს მამუკა მდინარაძე და თბილისის იურიდიული ცენტრის](#) წილი მართვის უფლებით არ აქვს გადაცემული.

### **საწარმოებში არააპირდაპირი მონაწილეობა**

თანამდებობის პირები ვალდებული არიან დეკლარაციაში მიუთითონ ასევე სამეწარმეო საქმიანობაში არააპირდაპირი მონაწილეობის შესახებ. იგულისხმება შემთხვევა, როდესაც კომპანია, რომლის მფლობელიცაა თანამდებობის პირი ან მისი ოჯახის წევრი, თავის მხრივ ფლობს სხვა კომპანიას. 13 დეპუტატის შემთხვევაში არასრულად არის მითითებული დაკავშირებული კომპანიების შესახებ ინფორმაცია.

ვრცლად, ამ საკითხსა და დეპუტატების, მათი ოჯახის წევრების ბიზნეს ინტერესების შესახებ ინფორმაცია იხილეთ [დანართში](#).